დანართი №3

გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური

1. გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური განისაზღვრება მოთხოვნილი სიმძლავრისა და მისაერთებელი ობიექტის ადგილმდებარეობის მიხედვით:

ა) გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური:

მომხმარებლის წნევის საფეხური	სიმძლავრე (კუბ.მ/სთ)	ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადა	ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური დღგ-ის ჩათვლით (ლარი)	
			თვითმმართველ ქალაქებში	სხვა მუნიციპალიტეტებში
დაბალი წნევა	0-6	40	800	400
	6-დან -10	40	2,000	1,800
	10-დან -16	40	3,000	2,800
	16-დან -25	45	3,200	3,000
	25-დან -40	45	3,800	3,500
	40-დან -65	45	12,000	11,500
	65-დან -100	60	13,000	12,500

ბ) 0-6 კუბ.მ/სთ სიმძლავრის ახალი საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურის 19^1 მუხლის მე-6 პუნქტით განწილვადების შემთხვევაში, მიერთების საფასური განისაზღვრება არსებულ მიერთების საფასურზე თვითმმართველ ქალაქებში 50 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) დამატებით, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებში 25 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) დამატებით.

გ) თუ ადგილი აქვს გამანაწილებელ ქსელზე მრავალბინიანი სახლის მიერთებას, ერთობლივი განაცხადით მიმართვის შემთხვევაში, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა განისაზღვრება მიერთების მსურველ(ებ)ის მიერ, ერთობლივი განაცხადით მოთხოვნილი ჯამური სიმძლავრის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ მიერთების მსურველ(ებ)ის მიერ ერთობლივი განაცხადით მოთხოვნილი ჯამური სიმძლავრე აღემატება 100 კუბ.მ/სთ, მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა შეადგენს 60 სამუშაო დღეს.